2015 წლის 9 მარტს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოსოფიის სასწავლო სამეცნიერო ინსტიტუტისა და ანთიმოზ ივერიელის ფილოსოფიისა და თეოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ ბუქარესტში წმ. ანთიმოზ ივერიელის მონასტერში ჩატარდა თეორიული სემინარები. სემინარზე მოხსენებით წარსდგნენ პროფ. ანასტასია ზაქარიაძე, დემურ ჯალაღონია, ირაკლი ბრაჭული, ვალერიან რამიშვილი და დეკანოზი ალექსი ქმუტაშვილი. მოხსენებები ეხებოდა ანთიმოზ ივერიელის ტექსტების ფილოსოფიურ–თეოლოგიურ და ლინგვო–კულტუროლოგიურ ანალიზს.